საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

ქ. თბილისი ვასო გოძიაშვილის ქ. N49 ტელ. 253 09 68

N 07/1021
27/11/2020

1021-07-2-202011271302

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. ქუთაისში მდებარე, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს - ქუთაისის ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში განთავსებულია მინი ინსინერატორი, რომელზეც, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის N88; 30.10.2006 საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 ოქტომბრის N2-1028 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ლაბორატორიაში განთავსებული ინსინერატორის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 27 კგ/სთ-ს, თუმცა 2006 წელს გაცემული შესაბამისი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (N88; 30.10.2006) მიხედვით, ინსინერატორის სიმძლავრედ განისაზღვრა კვირაში 45 კგ ნარჩენის ინსინერაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 დეკემბრის N615 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია განისაზღვრა „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 მაისის №323 დადგენილებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის უფლებამონაცვლედ და, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული ინსინერატორის ექსპლუატაციას ახორციელებს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია.

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ლაბორატორიაში დაგეგმილია:

- ინსინერატორის საპროექტო სიმძლავრის სრულად ათვისება (წარმადობის გაზრდა);
- ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების სახეობების და რაოდენობის გაზრდა;
- გამოყენებული საწვავის ტიპის შეცვლა, კერძოდ, დიზელის საწვავის ბუნებრივი აირით ჩანაცვლება.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმიანობაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, განიხილება სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად, თუმცა ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გავლის თაობაზე და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადდა სკოპინგის ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ „სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს - ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)'' სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

1. „სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს - ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)'' სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლიარი.
2. სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD;

პატივისცემით,

ირაკლი გულედანი

დირექტორი